



ქალაქ ამბროლაურში (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) კანალიზაციის ქსელის მოწყობა

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ

ნოემბერი 2015

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტის ფარგლებში იგეგმება ქალაქ ამბროლაურის (რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში) სხვადასხვა უბანში შვიდი საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა.

დღეისათვის, ქ. ამბროლაურის მხოლოდ ზოგიერთ ნაწილში არსებობს კანალიზაციის სისტემა, კერძოდ აქ მცხოვრები 900 ოჯახიდან 300 ოჯახი არ არის უზრუნველყოფილი კანალიზაციით. ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით იგეგმება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის კომპლექსის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, რომელიც დასრულდება ამა წლის ბოლოს (იხ. თანდართული წერილი ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 17 სექტემბრის წერილი). აღნიშნული გამწმენდი ნაგებობის კომპლექსის მშენებლობის დასრულებამდე, მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, რომ საკანალიზაციო ქსელი არ იქნება ექსპლოატაციაში გაშვებული, შესაბამისად არ მოხდება გაუწმენდავი საკანალიზაციო წყლების ჩაშვება მდინარეებში. საკანალიზაციო სისტემის მოწყობისთვის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემდეგ მოხდება ქუჩების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და კეთილმოწყობა.

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 7 საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა, აქედან 1 კოლექტორი (K-1 კოლექტორები შეერთებებით) განთავსდება მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ორი კოლექტორი (K-3 და K-7 კოლექტორები) მოეწყობა მდ. კრიხულას მარჯვენა ნაპირზე, ხოლო დარჩენილი 4 კოლექტორი განთავსდება აღნიშნული მდინარეების მარცხენა ნაპირზე. კოლექტორების სიგრძე და გამოანგარიშებული წყლის რაოდენობა წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

კოლექტორის ნომერი	მდებარეობა	კოლექტორის სიგრძე (მეტრი)	კოლექტორის ბოლო პუნქტი	
			საშუალო რაოდენობა ლ / წმ	მაქსიმალური რაოდენობა ლ / წმ
K-1	ვაჟა ფშაველა და მიმდებარე ქუჩები	2190	1,36	4,08
K-2	ბრატისლავას ქუჩა	270	0,17	0,51
K-3	კულტურის სახლის მიმდებარე ქუჩები	235	0,15	0,45
K-4	ჭავჭავაძისა და ხუციშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები	400	0,25	0,75

K-5	ბრატისლავას ქ. და მიმდებარე ქუჩები	1825	1,13	3,39
K-6	ჭავჭავაძისა და კიკვიძის ქუჩები	3370	2,10	6,30
K-7	ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია (მახალდიანის ქუჩა)	625	0,40	1,20

ქვე-პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს თითოეული საცხოვრებელი სახლიდან საკანალიზაციო გამყვანი კოლექტორების მოწყობას დიამეტრით 160 მმ. და ქანობით $\geq 0,007$, რომელიც შერჩეული იქნება, როგორც ადგილობრივი პირობების, ასევე ძირითად მოსახლეთა მიერ წამოყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

კოლექტორების მასალად გათვალისწინებულია გოფირებული პლასტმასის მილების გამოყენება, პირაპირების ქუროების შეერთებით. ქსელზე გათვალისწინებულია კანალიზაციის სათვალთვალო ჭეხის მოწყობა, რკინაბეტონის რგოლებით. ჭის ქვედა ნაწილში ეწყობა მონოლითური ბეტონის ღარები.

საამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მოკლე უბნებად (სამ - ოთხ ჭას შორის) შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ასფალტის არსებობის შემთხვევაში, საფარის მოხსნა და ნარჩენების გატანა;
2. გრუნტის ამოთხრა ექსკავატორის მეშვეობით და შესაძლებლობის შემთხვევაში, მისი დაყრა თხრილის გასწვრივ;
3. საპროექტო ნიშნულებამდე თხრილის ძირის მოსწორება ხელით;
4. 10 სმ სიმაღლის ქვიშის ფენის მოწყობა;
5. მილების ჩაწყოება და მონტაჟი საპროექტო ნიშნულებში;
6. კანალიზაციის ჭეხის მოწყობა-მონტაჟი;
7. მილების ირგვლივ და ზემოდან ქვიშის საფარის მოწყობა და მისი ფენებად დატკეპნა;
8. ფენებად დატკეპნის გზით თხრილის დანარჩენი ნაწილის ამოვსება ადგილობრივი გრუნტით;
9. დარჩენილი ზედმეტი გრუნტის გატანა;
10. ასფალტის ქვეშ 20 სმ-იანი ღორღის ფენის მოწყობა დატკეპნით;
11. ასფალტის 10 სმ-იანი სისქის ორშრიანი ფენის მოწყობა.

კანალიზაციის კოლექტორებისათვის საჭირო მიწის სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდება ტრასების დაკვალვა, არსებულ კომუნიკაციებთან ნორმატიული დაშორებების გათვალისწინებით.

დაკავშირებული ქვე-პროექტით გათვალისწინებულ საკანალიზაციო სისტემასთან მიერთებული იქნება 369 ოჯახი, 1 საჯარო სკოლა, სახანძროს შენობა და საპატრულო სამსახურის შენობა.

ქვე-პროექტის განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა არის 18 თვე.

(ა) ზემოქმედების დადგენა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს ზომიერი, მოკლევადიანი ნეგატიური და გრძელვადიანი პოზიტიური გავლენა ექნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. სამშენებლო ფაზის გავლენა დაკავშირებულია სარეაბილიტაციო სამუშაოებთან, რომელიც მოიცავს ახალი საკანალიზაციო კოლექტორისა და ბეტონის საკანალიზაციო ჭების მოწყობას. ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება ქ. ამბროლაურის სანიტარული მდგომარეობა.
რა მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედება ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენა ქ. ამბროლაურის საკანალიზაციო სისტემის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, რაც დადებითად აისახება ქალაქის სანიტარულ პირობებსა და გარემოზე. მოსალოდნელია დროებითი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, რომელიც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მცირე და საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის, მაგალითად: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და სამშენებლო მანქანა-დანადგარების მუშაობის შედეგად გამოყოფილი გამონაბოლქვი და სამშენებლო ნარჩენების დაგროვება. საკანალიზაციო ქსელის გაფართოება ხელს შეუწყობს საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების მართვის საშუალო და ხანგრძლივ ვადიანი მიზნების მიღწევას, ვინაიდან საკანალიზაციო ქსელი მიუერთდება გამწმენდ ნაგებობას, რომლის მშენებლობაც დაგეგმილია. აქვე

	უნდა აღინიშნოს, რომ გამწმენდი ნაგებობის მშენებლობამდე საკანალიზაციო ქსელის ექსპლუატაციაში გაშვება არ მოხდება. საკანალიზაციო სისტემა მოემსახურება ქუჩის მიმდებარედ მცხოვრებ 369 ოჯახს, საჯარო სკოლას, სახანძროს შენობასა და საპატრულო პოლიციას. გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობის გრძელვადიანი გავლენა შეამცირებს დაბინძურებული წყლით გამოწვეულ დაავადებებს, რაც სასარგებლო იქნება, როგორც ადილობრივი მაცხოვრებლებისთვის ასევე ამბროლაურში ჩამოსული ვიზიტორებისთვისაც.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის შესყიდვას. ქვე-პროექტის განხორციელებას ექნება ხანგრძლივი პოზიტიური გავლენა, რადგან ქ. ამბროლაურში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის, გაუმჯობესდება სანიტარული მდგომარეობა და შემცირდება ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი. ასევე, მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი გავლენა სამუშაო ადგილების შექმნასთან დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შედეგად. რაც შეეხება უარყოფით გავლენას, რომელიც დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნულ შემაწუხებელ ფაქტორებთან, იქნება მოკლევადიანი და შეზღუდული.

(ბ) შემარბილებელი ღონისძიებები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?	იმ ქუჩების შერჩევა, სადაც მოხდება საკანალიზაციო გაყვანილობის დამონტაჟება, მოხდა ამბროლაურის გამგეობასა და წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო მომსახურების ცენტრთან კოორდინირების გზით.
რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?	სამშენებლო ფაზის გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ: - ინერტული ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ტერიტორიაზე;

	- სამშენებლო მასალების შეიძნო უახლოესი ლიცენზირებული კარიერიდან ან ლიცენზირებული მომწოდებლისაგან, - თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), - უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების (ხმაური, მტვერი, გამონახოლქვი) თავიდან აცილება სწორი მუშაობითა და სამშენებლო მანქანების კარგი მოვლა-პატრონობით. კანალიზაციის კოლექტორებისთვის საჭირო მიწის სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდება ტრასების დაკვალვა, არსებულ კომუნიკაციებთან ნორმატიული დაშორებების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ არ მოხდეს ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობის დიდი ხნით შეფერხება, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მოკლე უბნებში (3-4 ჭას შორის).
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს სასმელი წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემებთან დაკავშირებული საშუალო და დიდი ზომის ქვე-პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება, რომლებიც ხორციელდება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. წარსულში განხორციელებული მსგავსი ტიპის პროექტებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე, პროექტი ითვალისწინებს არა მარტო ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობას, არამედ მათ ჰიდრო-იზოლაციასაც, რათა თავიდან ავიცილოთ კანალიზაციის წყლისა და ღვრა და მისი მიწისქვეშა წყლებთან შერევა. ეს ღონისძიება თავიდან აგვაცილებს მიწისქვეშა წყლის გაჟონვასაც საკანალიზაციო ქსელში.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	ქვე პროექტისათვის სპეციფიკური გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა ხელმისაწვდომი იქნება ამბროლაურის თემის მოსახლეობისათვის, ხოლო მისი განხილვა მოხდება საკონსულტაციო შეხვედრაზე სამუშაოების დაწყებამდე.

(C) კატეგორიზაცია

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (RMIDP2)
ქვე-პროექტის დასახელება	ქალაქ ამბროლაურში (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) კანალიზაციის ქსელის მოწყობა
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	ქვე-პროექტის ფარგლებში ქალაქ ამბროლაურის (რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში) სხვადასხვა უბანში მოეწყობა შვიდი საკანალიზაციო კოლექტორი. ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 7 საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა, აქედან 1 კოლექტორი (K-1 კოლექტორები შეერთებებით) განთავსდება მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, 2 კოლექტორი (K-3 და K-7 კოლექტორები) მოეწყობა მდ. კრიხულას მარჯვენა ნაპირზე, ხოლო დარჩენილი 4 კოლექტორი განთავსდება აღნიშნული მდინარეების მარცხენა ნაპირებზე. კოლექტორების სიგრძე და გამონაგარიშებული წყლის რაოდენობა წარმოდგენილია ქვემოთ: კოლექტორის K-1: ვაჟა ფშაველა და მიმდებარე ქუჩები , სიგრძე 2190 მ, საშუალო რაოდენობა 1,36 ლ/ წმ კოლექტორი K-2: ბრატისლავას ქუჩა, სიგრძე-270 მეტრი, საშუალო რაოდენობა 0,17 ლ/ წმ; კოლექტორი K-3: კულტურის სახლის მიმდებარე ქუჩები, სიგრძე 235მ, საშუალო რაოდენობა 0,15 ლ / წმ; კოლექტორი K-4: ჭავჭავაძისა და ხუციშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები, სიგრძე 400მ, საშუალო რაოდენობა 0,25 ლ / წმ; კოლექტორი K-5: ბრატისლავას ქ. და მიმდებარე ქუჩები, სიგრძე 1825მ, საშუალო რაოდენობა 1,13 ლ/ წმ; კოლექტორი K-6: ჭავჭავაძისა და კიკვიძის ქუჩები, სიგრძე: 3370მ, საშუალო რაოდენობა: 2,10 ლ/ წმ;

	კოლექტორი K-7: ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია (მახალდიანის ქუჩა), სიგრძე- 625მ, საშუალო რაოდენობა: 0,40 ლ/წმ. ქვე-პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს თითოეული საცხოვრებელი სახლიდან საკანალიზაციო გამყვანი კოლექტორები მოწყობას დიამეტრით 160 მმ. და ქანობით $\geq 0,007$, რომელიც შერჩეული იქნება, როგორც ადგილობრივი პირობების, ასევე ძირითადად მოსახლეთა მიერ წამოყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით. კოლექტორების მასალად გათვალისწინებული გოფირებული პლასტმასის მილების გამოყენება, პირაპირების ქურობის შეერთებით. ქსელზე გათვალისწინებულია კანალიზაციის სათვალთვალო ჭები მოწყობა, რკინაბეტონის რგოლებით. ჭის ქვედა ნაწილში ეწყობა მონოლითური ბეტონის ღარები. საამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მოკლე უბნებად (სამ - ოთხ ჭას შორის) შემდეგი თანმიმდევრობით: 1. ასფალტის არსებობის შემთხვევაში, საფარი მოხსნა და ნარჩენების გატანა; 2. გრუნტის ამოთხრა ექსკავატორის მეშვეობით და შესაძლებლობის შემთხვევაში, მისი დაყრა თხრილის გასწვრივ; 3. საპროექტო ნიშნულებამდე თხრილის ძირის მოსწორება ხელით; 4. 10 სმ სიმაღლის ქვიშის ფენის მოწყობა; 5. მილების ჩაწყობა და მონტაჟი საპროექტო ნიშნულებში; 6. კანალიზაციის ჭების მოწყობა-მონტაჟი; 7. მილების ირგვლივ და ზემოდან ქვიშის საფარის მოწყობა და მისი ფენებად დატკეპნა; 8. ფენებად დატკეპნის გზით თხრილის დანარჩენი ნაწილის ამოვსება ადგილობრივი გრუნტით; 9. დარჩენილი ზედმეტი გრუნტის გატანა; 10. ასფალტის ქვეშ 20 სმ-ანი ღორღის ფენის მოწყობა დატკეპნით; 11. ასფალტის 10 სმ-იანი სისქის ორშრიანი ფენის მოწყობა.
--	---

ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: შაოლან ვანგი		უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე ნინო მეტრეველი მაიკლ რებოსიო
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: საკონსულტაციო კომპანია Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain	სამუშაოთა კონტრაქტორი: (tbd)
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	0400, თამარ მეფის ქუჩა #1, ამბროლაური ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს ქ. ამბროლაურში, რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. თბილისიდან 280 კმ- ში.		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	ქვე-პროექტის განხორციელება იგეგმება ამბროლაური მუნიციპალიტეტის კუთვნილ მიწაზე.		
ტერიტორიის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი	ქალაქი ამბროლაური არის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრი და მდებარეობს ზღვის დონიდან 550 მეტრზე და თბილისიდან 280 კმ-ში. ქალაქის უდიდესი ნაწილი განლაგებულია მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ხოლო მცირე ნაწილი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. ქალაქის მარცხენა დასახლების ტერიტორიაზე გაედინება რიონის მცირე შენაკადი მდ. კრიხულა. ჰავა ნოტიოა, საშუალო ტენიანობა - 76%, კლიმატი არის ნოტიო 76% ნესტიანობით. ზამთარი არის ცივი, ხოლო ზაფხული თბილი და ხანგრძლივი. საშუალო ყოველწლიური ტემპერატურა არის 8-9°C. რაიონი ხასიათდება 7 ბაღიანი სეისმური აქტივობით. ქალაქი მდებარეობს ბორცვებიან რელიეფზე, მკვეთრი დახრილობით მდინარე რიონისკენ. გეოლოგიურად აგებულია საშუალო და მსხვილი ფრაქციის		

	რიყნართ თიხის შემავსებლით. მიწისქვეშა წყლების არსებობა არ დასტურდება სამი მეტრის სიღრმეზე. მოსახლეობის საერთო რაოდენობაა 3000 კაცი. ზაფხულობით მოსახლეობის რაოდენობა იზრდება 7000 კაცამდე. ქალაქია ტერიტორიაზე მცხოვრები 900 კომლიდან, 600 ოჯახი ცხოვრობს კანალიზებულ ტერიტორიაზე. ქუჩებზე, რომლებზეც ქვე-პროექტის ფარგლებში ეწყობა საკანალიზაციო ქსელი, განთავსებულია საცხოვრებელი სახლები და საჯარო სკოლა, ასევე მცირე კომერციული ობიექტები, თუმცა მათ ფუნქციონირებას, ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების გამო, ხელი არ შეეშლება.
მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	წყალი ხელმისაწვდომია სამშენებლო ტერიტორიაზევე მუნიციპალური წყალ მომარაგების სისტემის მეშვეობით. მანძილი საპროექტო ზონიდან უახლოეს ნაგავსაყრელამდე არის 5 კმ.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალ რისკიანი B კატეგორიის პროექტი. მუნიციპალური განვითარების ფონდს ქვე-პროექტი ოფიციალურად წარუდგინა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დაფინანსების მოთხოვნის მიზნით და გააცნო მას პროექტის განხორციელების საჭიროება და პრიორიტეტულობა . საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა);

	(iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისთვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); (iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან; (v) სამშენებლო ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს უახლოეს არა სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების (საჭიროების შემთხვევაში), ასფალტის/ბეტონის ქარხნების (საჭიროების შემთხვევაში) მუშაობისთვის საჭირო ნებართვების და ნარჩენების გატანის შესახებ შეთანხმების ასლები მშენებელმა კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს მგფ-ს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. აუცილებელია სახელმწიფო სტანდარტისა და (GOST) სამშენებლო ნორმების და წესების (SNIP) გათვალისწინება.
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	გარემოს დაცვის მართვის გეგმა განხილული იქნება ბენეფიციარ თემში სამუშაოების დაწყებამდე.
დანართები	
დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი (იქნება მოწოდებული) დანართი 3: ხელშეკრულება და ნებართვები/შეთანხმებები (იქნება მოწოდებული) - საჭიროების მიხედვით	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
	A. შენობის რეაბილიტაცია	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შეძენა ¹	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების გადამუშავება/მენეჯმენტი	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	☐ დიახ ☐ არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	(a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებული უნდა იქნეს ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიის და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი უნდა იქნეს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მარკენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე..
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	(a) დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები უნდა განთავსდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე და მოხდეს მისი წყლით დანაშვანა მტვრის შემცირების მიზნით. (b) კედლის დემონტაჟის ანდა პნევმატური ბურღვის დროს უნდა მოხდეს მტვრის გავრცელება უნდა შეიზღუდოს ტერიტორიის მუდმივი დანაშვით ან/და მტვრისგან დამცავი ბადეების დამონტაჟებით. (c) სამშენებლო ნარჩენები არ უნდა ეყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე (ტროტუარები, გზები) მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად; (d) ობიექტზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღიად დაწვა; (e) ობიექტებზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო ტექნიკის უქმ სვლაზე ფუნქციონირებას; (f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.
	ხმაური	(a) სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში; (b) ექსპლუატაციის დროს გენერატორების ძრავის სახურავები, ჰაერის კომპრესორები და სხვა მექანიზირებული აღჭურვილობა დაიხურება, და აღჭურვილობა საცხოვრებელი უბნებიდან შეძლებისდაგვარად შორს უნდა განთავსდეს. (c) მანქანა-დანადგარები მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით უნდა მოძრაობდეს; (d) უნდა დადგინდეს ტრანსპორტი მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე; (e) უნდა მოხდეს მანქანა-დანადგარების სათანადო კონტროლი და მოვლა-პატრონობა;

		(f) არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო და მძიმე ტექნიკის უქმ სვლაზე ფუნქციონირებას და გამოყენებული უნდა იქნეს მაყუჩები.
წყლის ხარისხი		a) კონტრაქტორი ვალდებულია, რომ ორგანიზება გაუწიოს და გადახუროს მასალის საწყობები; აღნიშნული საწყობების გადახურვა უნდა მოხდეს წყალგაუმტარი მასალით, ძლიერი წვიმის და წყალდიდობის დროს გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, ასევე აუცილებელია ეროზიისა და ნალექების ისეთი მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა მაგ. თივის ზვინები და/ან ლამის შემოღობვები, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნალექების სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადასვლა, რამაც შესაძლოა ზედმეტად აამღვრიოს მახლობლად მდებარე მდებარე მდინარეები და ნაკადულები; b) კონტრაქტორი ვალდებულია დაგეგმოს ყველა სახის მიწის სამუშაოები და უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ქვენიადაგის განთავსება ისე, რომ წყლის ჭარბი ჩამონადენის მოცულობა მინიმუმამდე იქნას შემცირებული; c) აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ზეთის და საპოხი მასალების გაჟონვის ფაქტის არსებობის/არარსებობის დადგენის მიზნით. ყველა სახის მექანიზმების მოვლა-პატრონობა და მუშაობა უნდა მოხდეს ისე, რომ ყველა სახის გაჟონვა, ან დაღვრა, მინიმუმამდე იყოს შემცირებული; აუცილებელია ყოველდღიური შემოწმება (სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობის პროცედურების შესაბამისად), გაჟონვის, ან რაიმე სახის პრობლემის არ არსებობის დადასტურების მიზნით. სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობა, გასუფთავება, ცხიმისგან გაწმენდა განხორციელდება კონკრეტულ ადგილებში - ბეტონის საფუძველზე და არა დაყრილ გრუნტზე. აღნიშნული მონაკვეთები არ უნდა იყოს განთავსებული მდინარიდან 50 მ მანძილზე; d) საპოხი მასალები, საწვავი და გამხსნელები აუცილებელია განთავსდეს და გამოყენებულ იქნას მექანიზმების მომსახურების მიზნით სპეციალურად მოწყობილ ადგილზე. აუცილებელია, რომ ისეთი მასალები, როგორიცაა მაგ. სორბენტი, ქვიშა, ნახერხი, ბურბუშელა და ა.შ. ხელმისაწვდომი იყოს სამშენებლო ტერიტორიაზე; e) დაუშვებელია სველი ცემენტის და/ან ბეტონის ჩაშვება ნებისმიერ წყლის ობიექტში.
ნარჩენების მართვა		(a) ნარჩენების შეგროვება, მისი გადატანის მარშრუტებისა და განთავსების ადგილების განსაზღვრა უნდა მოხდეს მშენებლობისა და დემონტაჟის შემდეგ წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენების ტიპების იდენტიფიცირების შემდეგ (b) მინერალური და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას (c) სამშენებლო ნარჩენები უნდა იქნას შეგროვებული და გადატანილი წინასწარ შეთანხმებულ ადგილას. (d) ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის თაობაზე აუცილებელია ჩანაწერების წარმოება.. (e) აკრძალულია ობიექტზე ნარჩენების დაწვა.

		(f) შესაძლებელია კონტრაქტორმა განმეორებით გამოიყენონ და გადაამუშაონ სათანადო მასალები (გარდა აზბესტისა)
	მასალების მიწოდება	a) მშენებლობისას უნდა იქნეს გამოყენებული მასალები მოწოდებული იმ არსებული ქარხნებიდან, კარიერებიდან და მალაროებიდან, რომელთაც აქვთ მოქმედი ლიცენზიები. b) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მოინდომებს ახალი კარიერების გახსნას ის ვალდებულია მიიღოს აღნიშნული მასალების მოპოვების ლიცენზია c) უნდა მოხდეს კარიერებისა და მალაროების პირვანდელ მდგომარეობის აღდგენა, მას შემდეგ რაც წიაღისეული მოპოვების სამუშაოების დასრულება და ლიცენზიას ვადა გაუვა. d) კონტრაქტორი ვალდებულია მგფ-ს წარუდგინოს მშენებლობისა და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა, სერთიფიკატი, წერილობითი შეთანხმება და ლიცენზია, ყველა მასალის ლიცენზირებული მომწოდებლისგან შესყიდვის საბუთი.
B. სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულებზე	(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით: ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულებათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან საქონლის გადაადგილების საათებში.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა	სად	როგორ	როდის	რატომ	ვინ
	პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	ტარდება მონიტორინგი	უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	ხდება პარამეტრის მონიტორინგი	არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია მინიმუმამდე შემცირება

ქმედება	რა	სად	როგორ	როდის	რატომ	ვინ
	პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	ტარდება მონიტორინგი	უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	ხდება პარამეტრის მონიტორინგი	არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	მიწის სამუშაოების პროცესში	სამშენებლო და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა	სად	როგორ	როდის	რატომ	ვინ
	პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	ტარდება მონიტორინგი	უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	ხდება პარამეტრის მონიტორინგი	არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ.					
ინერტული მასალების წყარო	მასალების შემენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია; სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა	სად	როგორ	როდის	რატომ	ვინ
	პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	ტარდება მონიტორინგი	უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	ხდება პარამეტრის მონიტორინგი	არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში. სამშენებლო მანქანა- დანადგარების რეცხვა უნდა მოხდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, რათა არ არ დაბინძურდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსები.					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი,

ქმედება	რა	სად	როგორ	როდის	რატომ	ვინ
	პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	ტარდება მონიტორინგი	უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	რა სიხშირით/პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	ხდება პარამეტრის მონიტორინგი	არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილ ობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებე ლი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტირებ ული საკანალიზაციო სისტემის მოვლა- პატრონობა	სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა ნაკლებად დატვირთულ საათებში და სათანადო ნიშნების განთავსება მიმდებარე ტერიტორიაზე	რეაბილიტირე ბული კოლექტორებ ი	ინსპექტირება	საკანალიზაციო სისტემის ფუნქციონირები ს დროს	ადგილობრივი მოსახელობის სიმშვიდის დარღვევის მინიმუმადე დაყვანა მყარი ნარჩენების დაბინძურების თავიდან აცილება	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

დანართი 1: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი #747, თარიღი 17/09/2015

საქართველო		GEORGIA
ქალაქ ამბროლაურის		AMBROLAURI MUNICIPAL
მუნიციპალიტეტის მერია		CITY HALL

ქალაქ ამბროლაური, მამბრე მთის ქ. N1 ტელ. 59635 41 (22 937) 59977 3252	L. Tamarashe Ambrolauri e-mail: qambrolauri@igmail.com
--	---

N 747 17/09/2015

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

დირექტორს ბატონ ჯუანშერ ზურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

გაცნობებთ, რომ ქამბროლაურის მუნიციპალიტეტში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2012-2013წლებში განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პირველი რიგის სამუშაოები, რამაც მოიცვა ქალაქის ტერიტორიის 40%. ჩვენს მიერ განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის მეორე რიგის სამუშაოების პროექტირება, რომლის განსახორციელებლად ქამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნილი იქნა გრანტი, რომლის თანადაფინანსებაზე ქამბროლაურის მუნიციპალიტეტი თანახმაა (ქამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N81 13.07.2015წ. განკარგულება), პროექტის განხორციელების შემთხვევაში საკანალიზაციო ქსელი სრულად მოიცავს ქალაქის დარჩენილ ნაწილს, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა მიეცემა დარჩენილი ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებისთვის. გარდა ამისა დამატებით გაცნობებთ, რომ მომავალში ქამბროლაურის მუნიციპალიტეტს განსაზღვრული აქვს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის კომპლექსის მშენებლობა, რაზეც მუნიციპალიტეტის მერიის დაწყებული აქვს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება (დასრულებულია მიმდინარე წლის ბოლოს), რომლის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი თანახმაა თანადაფინანსებით მოხდეს გრანტის მოპოვება. აღნიშნული გამწმენდი ნაგებობის კომპლექსის მშენებლობის დასრულებამდე, მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, რომ არ მოხდება საკანალიზაციო ქსელის მეორე რიგის სამუშაოების ექსპლოატაციაში გაშვება.

გთხოვთ აღნიშნულის შესახებ აცნობოთ შესაბამის უწყებებს.


პატივისცემით,

რატა ნამგალაძე

მერი



დანართი 2: სამშენებლო ობიექტის ადგილმდებარეობა და სურათები



ვაჟა-ფშაველას ქუჩა (K-1)



ბრატისლაგას ქუჩა (K-2)



კულტურის სახლის მიმდებარე ქუჩები (K – 3)



ჭავჭავაძისა და ხუციშვილის ქუჩების მიმდებარე ქუჩები (K – 4)



ბრატისლავა და მიმდებარე ქუჩები (K – 5)



ჭავჭავაძე და კიკვიძის ქუჩები (K – 6)



ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია (მახალდიანის ქუჩა) (K – 7)



დანართი 3: საჯარო განხილვის დოკუმენტაცია (იქნება მოწოდებული)

დანართი 4: ნებართვები და ლიცენზიები (იქნება მოწოდებული)